

ÉVALUATION DIAGNOSTIQUE  
DES ÉLÈVES ALLOPHONES

---

# Compréhension de l'écrit

---

CYCLE 4 - FIN DE 4E

Langue d'origine : géorgien

გვარი:

სახელი:

**NIVEAU : FIN DE 4<sup>e</sup>**

**დოკუმენტი 1:**

ანგარიში UNICEF 2015 (ამონარიდი).

ოცდახუთი წელია, გაეროს გენერალურმა ასამბლეამ მიიღო კონვენცია ბავშვთა უფლებების შესახებ. მას შემდეგ, პროგრესი მილიონობით ბავშვს შეეხო. როდესაც მთავრობებმა, მათმა საერთაშორისო პარტნიორებმა, საწარმოებმა და საზოგადოებებმა მოახდინეს რესურსების და საჭირო ენერჯის მობილიზება, გააკეთეს ის, რის პასუხისმგებლობის აღებითაც გადაარჩინეს ან გააუმჯობესეს ასობით მილიონი ბავშვის სიცოცხლე.

მიუხედავად იმისა, რომ მნიშვნელოვანი პროგრესი იქნა მიღწეული საკვანძო სფეროებში (ბავშვების გადარჩენა, განათლება, სუფთა წყლის ხელმისაწვდომობა), ძალიან ბევრი ბავშვის საჭიროებები ისევ არ არის დაკმაყოფილებული, უფლებები არ არის დაცული და მომავლის პერსპექტივა შეზღუდულია.

**დოკუმენტი 2:**

სტატისტიკა ანგარიში UNICEF 2015 (ამონარიდი).

გეოგრაფიული ზონა	დაწყებით სკოლებში მოსწავლეთა ზუსტი მაჩვენებელი (6 -11 ans) (%)		საშუალო სკოლებში მოსწავლეთა ზუსტი მაჩვენებელი (12-16 ans) (%)	
	ბიჭები	გოგონები	ბიჭები	გოგონები
სუბსაჰარული აფრიკა	81	75	35	30
ახლო აღმოსავლეთი და ჩრდილოეთ აფრიკა	92	89	72	67
სამხრეთ აზია	94	94	55	48
აღმოსავლეთ აზია და ოკეანეთი	95	95	75	76
ლათინური ამერიკა და კარიბის ზღვის აუზი	93	94	71	75
ევროპა	95	95	-	-
მსოფლიო	92	90	66	63

### დოკუმენტი 3:

საერთაშორისო კონვენცია ბავშვთა უფლებების შესახებ (ამონარიდები).

#### მუხლი 24

1. მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ ბავშვის უფლებას ისარგებლოს ჯანმრთელობის დაცვის სისტემის ყველაზე სრულყოფილი მომსახურებითა და განათლებით. მონაწილე სახელმწიფოები ესწრაფვიან უზრუნველყონ, რომ არც ერთ ბავშვს არ შეეღაპოს უფლება, ხელი მიუწვდებოდეს ჯანმრთელობის დაცვის სისტემის ამგვარ მომსახურებაზე.

#### მუხლი 28

1. მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ ბავშვის განათლების უფლებას და თანაბარი შესაძლებლობების საფუძველზე ამ უფლების განხორციელების თანდათანობით მიღწევის მიზნით, კერძოდ:

a) აწესებენ უფასო და სავალდებულო დაწყებით განათლებას ;

b) ხელს უწყობენ საშუალო განათლების, როგორც ზოგადის, ისე პროფესიულის, სხვადასხვა ფორმის განვითარებას, უზრუნველყოფენ მის ხელმისაწვდომობას ყველა ბავშვისთვის.

#### მუხლი 32

1. მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ ბავშვის უფლებას, დაცული იყოს ეკონომიკური ექსპლუატაციისგან და ნებისმიერი ისეთი სამუშაოსგან, რომელიც შეიძლება საშიში იყოს მისი ჯანმრთელობისათვის ან დაბრკოლებას უქმნიდეს მას განათლების მიღებაში, ანდა ზიანს აყენებდეს მის ჯანმრთელობას და ფიზიკურ, გონებრივ, სულიერ, მორალურ და სოციალურ განვითარებას.

---

1

რა არის სამივე დოკუმენტის საერთო სიუჟეტი? (შემოხაზეთ სწორი პასუხი)

- ბავშვების მდგომარეობა მსოფლიოში
- ბავშვთა შრომა განვითარების გზაზე მყოფ ქვეყნებში
- ბავშვების განათლება ევროპაში

MI MF MS TBM

---

2

რომელი წლით თარიღდება დოკუმენტ 1-ში ნახსენები კონვენცია ბავშვთა უფლებების შესახებ? (შემოხაზეთ სწორი პასუხი)

- 1985
- 2015
- 1990

MI MF MS TBM

---

3

კონვენციის (დოკუმენტი 3) რომელი მუხლი ეხება დოკუმენტ 2-ს?  
(შემოხაზეთ სწორი პასუხი)

- მუხლი 24
- მუხლი 28
- მუხლი 32

MI MF MS TBM

4

დოკუმენტ 2-ზე დაყრდნობით ცხრილში მონიშნეთ უჯრები, რათა უპასუხოთ კითხვებს:

გეოგრაფიული ზონა	რომელ გეოგრაფიულ ზონაშია დაწყებით სკოლებში იმდენივე ბიჭი, რამდენიც გოგონა?	რომელ გეოგრაფიულ ზონაშია საშუალო სკოლაში ჩარიცხული მეტი გოგონა, ვიდრე ბიჭი?
სუბსაჰარული აფრიკა		
ახლო აღმოსავლეთი და ჩრდილოეთ აფრიკა		
სამხრეთ აზია		
აღმოსავლეთ აზია და ოკეანეთი		
ლათინური ამერიკა და კარიბის ზღვის აუზი		
ევროპა		

MI MF MS TBM

5

კონვენციის არსებობის დღიდან: (შემოხაზეთ სწორი პასუხი)

- ბავშვების მდგომარეობა გაუმჯობესდა
- ბავშვების ყველა პრობლემა გადაიჭრა
- ბავშვების მდგომარეობა არ შეცვლილა

MI MF MS TBM

6

რას ემსახურება წარმოდგენილი დოკუმენტები? (დააკავშირეთ ვარიანტები)

- |               |                                  |
|---------------|----------------------------------|
| დოკუმენტი 1 • | • ინფორმირებას                   |
| დოკუმენტი 2 • | • გართობას                       |
| დოკუმენტი 3 • | • კანონების ოფიციალურად დადგენას |

MI

MF

MS

TBM

Rappel des codes de correction :

MI = maîtrise insuffisante MF = maîtrise fragile MS = maîtrise satisfaisante TBM = très bonne maîtrise

MI et MF : non acquis MS et TBM : on considère que c'est acquis